საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 9 23 02832798

28/09/2023

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

2023 წლის № 6731/3-81/23 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია, რომ სახელმწიფო უწყებებმა წინასწარ იცოდნენ ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში მოსალოდნელი სტიქიის შესახებ და არაფერი მოიმოქმედეს, არ შეესაბამება სიმართლეს. შეტყობინება, რომელსაც საზოგადოების სიცრუეში შეყვანისთვის არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დაგზავნილ იქნა 2023 წლის 3 აგვისტოს 15:05 საათზე და არა, 2 აგვისტოს. იგივე შინაარსის ინფორმაცია გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ Facebook გვერდზეც შეტყობინების დაგზავნიდან 4 წუთში, რაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია თავად ნახოს.

აქვე, გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული დროიდან რამდენიმე წუთში, ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში მომხდარი მეწყრის შესახებ პირველი ზარებიც შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში „112“.

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ არაერთხელ განმარტა, რომ შეტყობინება იყო ზოგადი ხასიათის და ამ კონკრეტული შეტყობინებით, სტიქიის საშიშროების პროგნოზი და ზუსტი ლოკაციის განსაზღვრა შეუძლებელი იყო. შეტყობინებაში არ ყოფილა ნახსენები რაჭის რეგიონი და ფაქტობრივადაც, 2023 წლის 3-4 აგვისტოს კურორტ შოვის ტერიტორიაზე ნალექი არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ უკვე რამდენიმე წელია, რაც მსგავსი პრაქტიკა არსებობს და სისტემატურად იგზავნება შეტყობინებები ამინდის გაუარესებასთან ერთად. თუმცა, ეს შეტყობინებები უკავშირდება სტანდარტულ მეტეოროლოგიურ მოვლენებს, როგორებიცაა:

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

უხვი ნალექი, ძლიერი ქარი, მაღალი ტემპერატურა და ა. შ. და არ მოიცავს ისეთ სტიქიურ მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა კურორტ შოვში 2023 წლის 3 აგვისტოს. ამასთან, გარემოს ეროვნული სააგენტოსა და შესაბამისი სპეციალისტების პირველადი დასკვნით არის დადასტურებული, რომ შოვში სტიქიის გამომწვევი მიზეზი გახდა კლდეზვავი (კლდის მასშტაბური მოწყვეტა) რამაც განავითარა მეწყრული და ღვარცოფული მოვლენები, ანუ, ორ სხვადასხვა პროცესთან და მოვლენასთან გვაქვს საქმე და არაფერი აქვს საერთო მოკლე ტექსტური შეტყობინებით გავრცელებულ გაფრთხილებას შოვში განვითარებულ სტიქიურ მოვლენასთან, რადგან მსგავსი ტიპის სტიქიური მოვლენა პროგნოზირებას არ ექვემდებარება.

შესაბამისად, აღნიშნული შეტყობინება ვერ იქნებოდა 2023 წლის 3 აგვისტოს კურორტ შოვში განვითარებული სტიქიური მოვლენების წინასწარ პროგნოზირების საფუძველი.

პატივისცემით,

შ.ს.ს.
მინისტრის მოადგილე
ალექსანდრე დარახველიძე